

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის
III სემესტრის დოქტორანტის

გიორგი ბურჯანაძის

საკოლოკვიუმე ნაშრომი თემაზე

“კირთაგვას თავის ტვინში იზოლაციისა და დღე-
ლამური რიტმის დარღვევის პირობებში ენერგეტიკულ
მეტაბოლიზმში მონაწილე ზოგიერთი ფერმენტის
აქტივობის ცვლილების შეფასება”

ხელმძღვანელი: თსუ სრული პროფესორი,
ბ.მ.დ., ნანა კოშორიძე

თბილისი 2013

შინაარსი

შესავალი.....	3
თავი I. ლიტერატურული მიმოხილვა.....	5
I.1 იზოლაცია და დღე-დამური რიტმის დარღვევა, როგორც სტრესული ფაქტორი	5
I.2 სეროტონინი.....	7
I.3 კორტიკოსტერონი.....	9
I.4 კრეატინკინაზა	11
I.5 კრეატინი.....	13
I.6 ალფოლაზა.....	14
I.7 აკონიტაზა, სუქცინატდეპოდროგენაზა, ფუმარაზა.....	15
თავი II. კვლევის ობიექტები და გამოყენებული მეთოდები.....	17
II.1. კვლევის ობიექტი.....	17
II.2. სუბუჯრედული ფრაქციების მიღება დე-რობერტისის მიხედვით.....	18
II.3. სეროტონინისა და კორტიკოსტერონის რაოდენობრივი განსაზღვრა.....	19
II.4. ფერმენტ აკონიტაზასა აქტივობის განსაზღვრა.....	19
II.5. ფერმენტ სუქცინატდეპიდროგენაზას აქტივობის განსაზღვრა.....	19
II.6. კრეატინის რაოდენობრივი განსაზღვრა.....	20
II.7. ფერმენტ კრეატინკინაზას აქტივობის განსაზღვრა.....	20
II.8. ცილის კონცენტრაციის განსაზღვრა ლოურის მეთოდით.....	21
თავი III. მიღებული შედეგები და მათი განხილვა.....	23
დასკვნები.....	33
გამოყენებული ლიტერატურა.....	34

შესავალი

თანამედროვე ეპოქამ და ცივილიზაციის რევოლუციური ნაბიჯებით განვითარებამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა კაცობრიობა, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მომატებული სტრუსული ფონი.

სტრუსი, ანუ გარკვეული გარემო ფაქტორების გავლენას ცოცხალ სისტემაზე, მძიმე უარყოფითი შედეგების გამოწვევა შეუძლია, რომლებიც შესაძლოა ლეთალურადაც კი დამთავრდეს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ორგანიზმზე სტრუსული ფაქტიორების ხანმოკლე ზემოქმედებას, ზოგიერთ შემთხვევაში, დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია, რაც ფართოდ გამოიყენება სამედიცინო სფეროში.

მეოცე საუკუნის 70-80-იან წლებში პირველად განისაზღვრა სოციოიზოლაციური სტრუსის ეპიდემიოლოგიური ხასიათი და მას შემდეგ ამ კუთხით მრავალი კვლევა ჩატარდა. ჩატარებულმა კვლევებმა წარმოაჩინეს ორგანიზმის სხვადასხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სისტემაზე ამ სახის ზემოქმედების უარყოფითი გავლენა.

ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც ფუნქციონირებს ნერვული და ჰუმორული მაკონტროლებელი მექანიზმების საშუალებით, გარემო ფაქტორების უშუალო ზემოქმედებას განიცდის სწორედ ნერვულ და ჰუმორულ სისტემებზე.

ამ კუთხით მნიშვნელოვანია თავის ტვინში სინთეზირებული ნეიროგადამცემის სეროტონინისა და თირკმელზედა ჯირკვლის ჰორმონის კორტიკოსტერონის რაოდენობრივი ცვლილებები, რომელიც სტრუსული მდგომარეობის ძირითად ბიოქიმურ მარკერებს წარმოადგენს.

უჯრედში სეროტონინისა და კორტიკოსტერონის რაოდენობრივ შემცველობის ცვლილებები უშუალოდ აისახება უჯრედულ მეტაბოლიზმზე. კერძოდ, ისინი, როგორც პირველადი მესენჯერები უზრუნველყოფენ უჯრედშიდა არეში მეორადი, მესამეული და სხვა გადამცემების სინთეზს, რასაც თან სდევს რთული უჯრედშიდა სასიგნალო კასკადის ცვლილება, რაც უშუალოდ მოქმედებს სხვადასხვა მეტაბოლურ პროცესზე და შეუძლია სხვადასხვა პათოლოგიური ცვლილების (მათ შორის ჟანგვითი სტრუსის აქტივაცია) გამოწვევა. პირველადი მესენჯერების მიერ ინიცირებული პროცესები პირდაპირ კავშირშია ე.წ. მეორადი მესენჯერების წარმოქმნასთან, რომლებიც უშუალოდ ერთვება უჯრედში და მის კომპარტმენტებში მიმდინარე მეტაბოლურ პროცესებში და სხვადასხვა რეაქციის კოფაქტორებად გვევლინებიან.

დღეისათვის დიდი ყურადღება ეთმობა კალციუმის ორვალენტიან იონს (Ca^{2+}), რომელიც მრავალ მნიშვნელოვან მეტაბოლურ პროცესშია ჩართული და ამდენად სასიცოცხლო მნიშვნელობა

გააჩნია ორგანიზმის ცხოველმყოფელობისათვის (ნეიროიმპულსების გადაცემა, კუნთის შეკუმშვა, გულის კუნთის მუშაობა და სხვა). ამასთან, მეცნიერებს ჯერ-ჯერობით უჭირთ Ca^{2+} -ის მესენჯერების ამა თუ იმ კლასთან მიკუთვნება.

უჯრედულ მეტაბოლურ პროცესებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ენერგეტიკული ჰომეოსტაზის შენარჩუნება. ჩვეულებრივ პირობებში უჯრედის მიერ ატფ-ის მოხმარება მუდმივ, დაბალანსებულ წონასწორობაშია, რასაც უზრუნველყოფს სხვადასხვა მეტაბოლური გზები (გლიკოლიზი, კრებსის ციკლი, უანგვითი ფოსფორილირება, ცნიმოვანი მჟავების დაუანგვა და სხვა). ისინი საკმაოდ მგრძნობიარეა სხვადასხვა გარეგანი ფაქტორის მიმართ, რომელთა შორისაცაა ფსიქოემოციური სტრესი.

ნებისმიერი დარღვევა, რომელიც უჯრედში მიმდინარეობს პირდაპირ ან არაპირდაპირ მოქმედებს უჯრედის ენერგეტიკულ ჰომეოსტაზზე, შესაბამისად უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედების უშუალო სამიზნე, მიტოქონდრია და მასში მიმდინარე უანგვა-ალდგენითი პროცესებია, რომლებიც უზრუნველყოფენ ატფ-ის სინთეზს და ცოცხალი სისტემის ენერგოსტაბილურობას.

როგორც ცნობილია, უჯრედში ენერგიის წარმოქმნის პროცესი ციტოპლაზმაში იწყება და მიტოქონდრიის მატრიქსში ფუნქციონირებად კრებსის ანუ ლიმონმჟავას ციკლით გრძელდება, რომელიც გარკვეულწილად ციტოზოლში მიმდინარე პროცესების და უანგვითი ფოსფორილირების დამაკავშირებელი რგოლია, შესაბამისად ლიმონმჟავა ციკლის ფერმენტების მოქმედება და ფუნქციონირება მნიშვნელოვანი ფაქტორია ენერგეტიკული ჰომეოსტაზის შენარჩუნებაში.

დადგენილია, რომ უჯრედებისათვის, რომლებიც მოიხმარენ ჭარბ და ცვალებადი რაოდენობის ენერგიას (ჩონჩხისა და გულის კუნთი, ნერვული ქსოვილი) არ არის საკმარისი ჩვეულებრივი გზით სინთეზირებული ატფ. ალმოჩნდა, რომ ამ ქსოვილებში ენერგეტიკული ბალანსის შესასწარჩუნებლად, დამატებით ფუნქციონირებს ერთგვარი ბუფერული სისტემა, რომელსაც ე.წ. კრეატინ/ფოსფოკრეატინული ციკლი (Cr/PCr) წარმოადგენს. ამ ციკლის რეაქციები ფერმენტ კრეატინკინაზას (CK) სხვადასხვა იზოფორმებით კატალიზდება.

სამუშაოს მიზანი და ამოცანები: სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა თეთრი ვირთაგვას თავის ტვინის ენერგეტიკული მოტაბოლიზმის შეფასება იზოლაციითა და დღე-ღამური რიტმის დარღვევით გამოწვეული ფსიქოემოციური სტრესის პირობებში.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა: ნაშრომი მოიცავს შესავალს, ლიტერატურულ მიმოხილვას, გამოყენებული მეთოდების აღწერას, მიღებული შედეგების განხილვას, დასკვნებსა და გამოყენებული ლიტერატურის სიას.

I. ლიტერატურული მიმოხილვა

I.1 იზოლაცია და დღე-დამური რიტმის დარღვევა, როგორც სტრუსული ფაქტორი

1936 წელს კანადელმა მეცნიერმა სელიემ გამოკვლევებით დაადგინა ორგანიზმზე გარკვეული გარემო ფაქტორების გავლენა და ამ მოვლენას “სტრუსი” უწოდა [1].

მრავალმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ გარეგანი სტრუს-ფაქტორების სანმოკლე ზემოქმედება რიგ შემთხვევებში დადგებითი უჟაქტის მომტანია, თუმცა ამ მდგომარეობაში ხანგრძლივი პერიოდით ყოფნამ შესაძლოა მძიმე შედეგებამდე მიიყვანოს ცოცხალი ორგანიზმი.

სტრუსში განარჩევენ სამ ძირითად ფაზას, ესენია: განგაშის, რეზისტენტობის და ადაპტაციის და/ან გამოფიტვის სტადიები. სამივე ეს საფეხური ხასიათდება სპეციფიური ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური მახასიათებლებით [2-4].

XX საუკუნის 70-80-იან წლებში სტრუს-ფაქტორთა სიას დაემატა ე.წ. სოციალური იზოლაცია. ამ პერიოდში ჩატარებული კვლევებით დაადგინდა სოციალური იზოლაციის უარყოფითი გავლენა ორგანიზმზე, მის ფუნქციონირებაზე და სიკვდილიანობის მაჩვენებელზე [5-7].

აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ზემოქმედება, ორგანიზმისთვის მიყენებული ზიანის თვალსაზრისით, არ ჩამორჩება სიგარეტის წევას, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარებას და სხვა ფსიქოსოციალურ სტრუს-ფაქტორებს [8], თუმცა დღევანდლამდე მაინც არ არის ზუსტად განსაზღვრული, თუ რატომ არის სოციალური იზოლაცია ესოდენ სარისკო სიცოცხლისათვის და ამ კუთხით კვლევა დღესაც აქტიურად გრძელდება

არსებობს კვლევები, რომელთა მიხედვითაც სოციუმისგან იზოლაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრუს-ფაქტორს, რომლის გახანგრძლივების შემთხვევაში შესაძლოა განვითარდეს მძიმე შედეგები და ორგანიზმი დაიღუპოს კიდეც [9]. მრავალი მეცნიერის აზრით, თანამედროვე მსოფლიოში კომპიუტერული ტექნოლოგიების, ინტერნეტისა და სოციალური ქსელების განვითარება ხელს უწყობს ადამიანების ურთიერკავშირს [10], მეორე მხრივ, არსებობს კვლევები, რომელთა მიხედვით აღნიშნული გარემოებები პირიქით, წარმოადგენს სოციალური არსების, ამ შემთხვევაში ადამიანის ვირტუალურ სამყაროში გადასვლის საფუძველს და გარკვეულწილად ახდენს პიროვნების იზოლაციას სამყაროსაგან, რაც უარყოფითად აისახება მასზე [11; 12].

დადგენილია, რომ ინდივიდების იზოლაცია და მათი ბუნებრივი დღე-დამური რიტმის დარღვევა წარმოადგენს მძლავრ სტრუს-ფაქტორს, რომლის ზემოქმედების შედეგად ორგანიზმში აღინიშნება

რიგი პორმონალური ცვლილებები და აგრესიულობის მატება, რაც ხდება ფსიქომოციური სტრესის მიზეზი [14-18].

თანამედროვე სამეცნიერო კვლევებით დასტურდება ინდივიდების იზოლაციითა და ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევით გამოწვეული ფსიქომოციური სტრესის მანე გავლენა უჯრედში მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებზე. კერძოდ, დადგენილია ამ პირობებში ოქსიდაციური სტრესის განვითარება, რასაც მოსდევს მემბრანული ლიპიდების დაზიანება ზეჟანგური პროცესების გააქტივების გზით. ასევე, არსებობს მონაცემები ორგანიზმის იმუნურ სისტემაზე იზოლაციური სტრესის უარყოფითი ეფექტის შესახებ, რაც სიცოცხლისათვის საშიში პროცესების გააქტივების მიზეზია [13].

სულ უფრო მეტი კვლევა მიუთითებს ფსიქომოციური სტრესის შედეგად ნორადრენერგული და სეროტონინერგული სისტემების პიპერაქტივაციაზე [19] და γ -ამინოერბომჟავაერგული (GABA) სისტემის ინპიბიციაზე [20].

ალმოჩნდა, რომ ფსიქომოციური სტრესი მძიმე ზეგავლენას ახდენს დასწავლის ხარისხზეც, რაც აისახება სტრესთან დაკავშირებული ნეიროგადამცემების (სეროტონინი) და სტრეს-პორმონების (გლუკოკორტიკოიდები) ურთიერთდამოკიდებული რაოდენობრივი ცვლილებებით [21]. არსებობს მონაცემები აღნიშნულ პირობებში NMDA რეცეპტორული სისტემის ჩართულობის შესახებაც [22].

ცნობილია, რომ ხანგრძლივი ფსიქომოციური სტრესი გავლენას ახდენს უჯრედში აზოტის ოქსიდისა (NO) და გლუტათიონის (GSH) რაოდენობაზე, რაც გამოიხატება პირველის მკვეთრ რაოდენობრივ მატებაში, ხოლო GSH-ის კლებაში. ეს ფაქტი პირდაპირ მიუთითებს ოქსიდაციური სტრესის განვითარებაზე [23].

გარდა ბიოქიმიური დარღვევებისა, აღსანიშნავია ფსიქომოციური სტრესით გამოწვეული ფიზიოლოგიური დარღვევებიც, რომლებიც ნათლად მიუთითებს ორგანიზმზე აღნიშნული სტრეს-ფაქტორების მძიმე გავლენაზე [24].

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ფსიქომოციური სტრესი ძლიერ უარყოფით ზეგავლენას ახდენს ცოცხალ სისტემაზე, რაც გამოიხატება ტროფული ფუნქციების დაქვეითებით, სიმსივნური პროცესების გააქტივებით, უჯრედულ დონეზე მეტაბოლური პროცესების ინპიბირებითა და გადაგვარებით, რასაც ორგანიზმი ლეთალურ შედეგებამდე მიყავს [25].

I.2 სეროტონინი

1935 წელს იტალიელმა მეცნიერმა ვიტორიო ესპამერმა დაადგინა, რომ ნაწლავების ენტეროქრომაფინური უჯრედებისგან მიღებული ექსტრაქტი იწვევდა ნაწლავების შეკუმშვას და მას ენტერამინი უწოდა [26]. ამასთანავე, არსებობდა მოსაზრება, რომ აღნიშნული ექსტრაქტი იყო ადრენალინი, თუმცა გამოკვლევებით ეს ვერსია არ დადასტურდა. 1948 წელს ამერიკელმა მეცნიერებმა სისხლის შრატში აღმოაჩინეს ნივთიერება, რომელიც სისხლძარღვების შეკუმშვაზე მოქმედებდა და მას სეროტონინი უწოდეს [27].

საბოლოოდ 1952 წელს დადგინდა, რომ მეოცე საუკუნეში, სხვადასხვა დროსა და ადგილას აღმოჩენილი შემკუმშვავი აგენტები, რომელთაც ენტერამინი და სეროტონინი ეწოდათ, წარმოადგენენ ერთ ნივთიერებას და ამის გამო სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა ახალი ტერმინი 5-ჰიდროქსიტრიპტამინი (5HT) [28].

ადამიანის ორგანიზმის სეროტონინის დაახლოებით 80% გვხვდება ნაწლავის ენტეროქრომაფინურ უჯრედებში, სადაც ის არეგულირებს ნაწლავების პერისტალტიკას, ხოლო დანარჩენი - ცენტრალური ნერვული სისტემის (ცნს) სეროტონინერგული ნეირონებში. ამასთან საყურადღებოა, რომ საკუთრივ სეროტონინისათვის ჰემატონცეფალური ბარიერი განუვლადია, ხოლო მისი სინთეზისათვის აუცილებელ ნაერთებს მარტივად შეძლიათ ჰემატონცეფალური ბარიერის გადალახვა [29; 30].

სეროტონინი წარმოადგენს ნეირომედიატორს, რომლის სინთეზი L-ტრიიქტოფანის ჰიდროქსილირების საშუალებით ხდება. შედეგად წარმოიქმნება 5-ჰიდროქსიტრიპტოფანი (5-HTP). რეაქციას აკატალიზებს ფერმენტი ტრიოფტოფანჰიდროქსილაზა (TPH), რომელიც ორგანიზმში არსებობს ორი იზოფორმის სახით (TPH1 და TPH2). TPH1 სხვადასხვა ქსოვილშია ნანახი, ხოლო TPH2 თავის ტვინისათვის დამახასიათებელი სუბტიპია. 5-HTP განიცდის ფერმენტულ დეკარბოქსილირებას, რის შედეგადაც წარმოიქმნება 5-ჰიდროქსიტრიფტოფანინი (5HT) ანუ სეროტონინი, რეაქციას აკატალიზებს ფერმენტი 5-ჰიდროქსიტრიფტოფანდეკარბოქსილაზა (AAADC) [31], რომელიც ამავდროულად დოფამინის მასინთეზირებელი ფერმენტიცაა [32]. ნაჩვენებია აგრეთვე AAADC-ზე პირიდოქსინის გამააქტივებელი ეფექტი [33].

სეროტონინის შემცველი ნეირონული სხეულები წარმოქმნიან გარკვეულ კლასტერებს, რომლებიც განლაგებულია თავის ტვინის ღეროს შუა ნაწილში. ამ ნეირონების აქსონები ახდენს ცნს-ის თითქმის ყველა უბნის ინერვაციას. აღნიშნული გროვები შეესაბამება ე.წ. რაფის ბირთვებს,

თუმცა სრულად არ მოიცავს მათ. დალშრომბა და ფუქსმა აღწერეს სეროტონინ შემცველი ნეირონული სხეულების 9 ჯგუფი და ისინი აღნიშნეს, როგორც B_1 , B_2 და ა.შ. [34].

ელექტრული იმპულსის საპასუხოდ სეროტონინერგული ნეირონების სხეულები ახდენს ტრიფტოფანიდან 5HT-ის ჭარბ პროდუცირებას, ხოლო ეს პროცესი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ექსტრაცელულარულ Ca^{2+} -ზე, რაც გამოიხატება TPH-ის Ca^{2+} -დამოკიდებული ფოსფორილირებით და შესაბამისად აქტივაციით [35].

სეროტონინის ვეზიკულებში მოთავსება მიმდინარეობს აქტიური ტრანსპორტის მექანიზმით, რომელშიც მონაწილეობს ეწ. ვეზიკულური ტრანსპორტერები ($VMAT_1$, $VMAT_2$), ამასთან პროცესისათვის აუცილებელია ელექტროქიმიური გრადიენტის არსებობა, რომელსაც ვეზიკულური H^+ -ატფაზა უზრუნველყოფს, წყალბადის პროტონების ვეზიკულაში გადაქაჩვის გზით.

საბოლოოდ, $VMAT_1$ -სა და $VMAT_2$ -ს, რომლებიც წარმოადგენენ ციტოპლაზმიდან ტოქსიკური ნივთიერებების ვეზიკულებში გადამტანი სპეციფიკური ტრანსპორტერების ჰომოლოგებს, ანტიპორტული მექანიზმის საშუალებით გადააქვთ 5HT [36], ხოლო რაც შეეხება სეროტონინის სინაპსურ ტრანსპორტს, ამ პროცესს უზრუნველყოფს ეწ. სეროტონინის ტრანსპორტერი (SERT), რომელიც მდებარეობს სეროტონინერგული ნეირონების მემბრანაში და ის Na^+ -დამოკიდებული არხია, რომელიც აკონტროლებს სინაპსში სეროტონინის რაოდენობას. მას მიაკუთვნებენ Na^+ - და Cl^- -დამოკიდებული ტრანსპორტერების ოჯახს [37; 38].

აღმოჩნდა, რომ Ca^{2+} -ის უჯრედში შესვლას შეუძლია გაზარდოს 5HT-ის გამონთავისუფლება. აღწერილია Ca^{2+} -ის როლი ვეზიკულური და პლაზმური მემბრანის შერწყმაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თავის მხრივ სეროტონინი მონაწილეობს Ca^{2+} -ის უჯრედშიდა დეპოებიდან აქტიურად გამონთავისუფლების პროცესში [39].

სეროტონინის რეცეპტორები, გარდა 5-HT₃ რეცეპტორისა, წარმოადგენენ G-ცილებთან ასოცირებულ არხებს, ხოლო 5-HT₃ ლიგანდ-დაჭიშკრული იონური არხია.

5-HT რეცეპტორები ნანახია, როგორც ცენტრალურ ისე პერიფერიულ ნერვულ სისტემაში და მათ ბუნებრივ ლიგანდს სეროტონინი წარმოადგენს [40; 41].

სეროტონინის რეცეპტორები უზრუნველყოფს მრავალი ნეირომედიატორის გამოყოფას (დოფამინი, გაემ, გლუტამატი, ეპინეფრინი/ნორეპინეფრინი და სხვა), ასევე მრავალი ჰორმონის, რომელთა შორისაა ოქსიტოცინი, პროლაქტინი, ვაზოპრესინი, კორტიზოლი, კორტიკოტროპინი და სხვა. შესაბამისად, აღნიშნული რეცეპტორების როლი მნიშვნელოვანია სხვადასხვა ფიზიოლოგიურ პროცესებში (აგრესია, გაღიზიანებადობა, მეხსიერება, ძილი, დასწავლა და სხვა) [42].

მნიშვნელოვანია სეროტონინურგული სისტემის როლი ე.წ. ცირკალული რიტმის ნორმალურ ფუნქციონირებაში, სადაც ის გვევლინება სინათლეზე დამოკიდებული რეაქციების მაკონტროლებლად [43].

აღმოჩნდა, რომ სეროტონინი მონაწილეობს სტრეს-ჰორმონების (კორტიკოსტერონი, კორტიზოლი) გამოყოფის პროცესშიც და 5-HT-ის ჭარბი პროდუცირება არღვევს აღნიშნული ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ნორმალური გამონთავისუფლების პროცესს [44].

ნეირონების, გლიისა და სხვა უჯრედების მიტოქონდრის გარე მემბრანაზე წარმოადგენილია ინტეგრალური ფლავოპროტეინი, რომელსაც მონოამინ ოქსიდაზას (MAO) უწოდებენ, ეს უკანასკნელი მონაწილეობას ღებულობს სეროტონინის უჯრედშიდა კატაბოლიზმის პროცესში და მას 5-ჰიდროქსიინდოლაცეტალდეპიდად (5-HIAA) გარდაქმნის. არსებობს აღნიშნული ფერმენტის ორი იზოფორმა: MAO-A და MAO-B, რომლებიც განსხვავებულ სუბსტრატულ სპეციფიკურობას ავლენენ [45; 33].

I.3 კორტიკოსტერონი

თირკმელზედა ჯირკვლის გარე შრის უჯრედები სისხლში გამოყოფენ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტეროიდულ ჰორმონს - კორტიკოსტერონს (CORT), რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში “სტრეს-ჰორმონის” სახელწოდებით მოიხსენიება. ის ერთ-ერთ ძირითად მარკერს წარმოადგენს სტრესული მდგომარეობის ბიოქიმიური იდენტიფიცირებისათვის [46].

ცნობილია, რომ ჰიპოთალამუს-ჰიპოფიზ-თირკმლის (HPA) ფუნქციური ჯაჭვი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორგანიზმის ნერვული, კარდიოვასკულარული და იმუნური სისტემებისა და მეტაბოლური პროცესების ჰომეოსტაზის შენარჩუნებაში. HPA-ს ძირითადი რეგულატორული როლი ცირკალულ და სტრესთან დაკავშირებულ პროცესებში ინიცირდება ჰიპოთალამური პარავენტრიკულური უჯრედების (PVC) პარვიცელულარულ სუბნაწილში [47]. აღნიშნული უჯრედების უმრავლესობა ახდენს კორტიკოტროპინ გამომყოფი ჰორმონის (CRH) და ვაზოპრესინის (VP) სეკრეციას, რაც იმავდროულად ასტიმულირებს ჰიპოფიზის კორტიკოტროპული უჯრედების მიერ სისხლში ადენტოკორტიკოპული ჰორმონის (ACTH) სეკრეციას, რომელიც ერთგვარ სასიგნალო ნაერთს წარმოადგენს ქოლესტერინიდან კორტიკოსტერონის (CORT) სინთეზის სტიმულაციისათვის. CORT, თავის მხრივ, აღნიშნული სისტემის მაინპიბირებელი ფაქტორია [48].

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ კორტიკოსტერონი ორგანიზმში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამინომჟავებიდან გლუკონეოგენეზის პროცესში ეს პროცესი კი აუცილებელია უჯრედშიდა გლიკოგენის ჰომეოსტაზის შენარჩუნებისათვის [49].

ნაჩვენებია, სტრესული მდგომარეობების დამოკიდებულება HPA კასკადზე და სიმპატიადრენალურ სისტემაზე, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად ბიოქიმიურ სტრესულ მექანიზმებს, როგორც ადამიანში, ისე სხვა ცხოველურ ინდივიდებში [50].

კორტიკოსტერონი, მსგავსად სხვა სტეროიდული ჰორმონებისა, სინთეზირდება თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვან ნაწილში და მის წინამორბედს პრეგნენოლონი წარმოადგენს. ეს უკანასკნელი ციტოქრომ P450-ის ორი იზოფორმის (P450c21 და P450c11) მონაწილეობით მიმდინარე ფერმენტული რეაქციის შედეგად გარდაიქმნება კორტიკოსტერონად [51].

კორტიკოსტერონი წარმოადგენს ძირითად გლუკოკორტიკოიდს, რომელიც ჩართულია იმუნურ რეაქციებსა და სტრესულ პირობებში მიმდინარე პროცესებში [52], ასევე მნიშვნელოვანია მისი როლი სხვადასხვა დაავადებების ფორმირებაში (კუშინგის სინდრომი, ნელსონის დაავადება და სხვა) [53].

ნაჩვენებია კორტიკოსტერონის სინთეზისა და მეტაბოლიზმზე სეროტონინერგული სისტემის გავლენა [54] და ჰორმონის მალიმიტირებელი მოქმედება Ca^{2+} -ის, როგორც მეორადი მესენჯერის მოქმედებაზე [55].

ცნს-ში აღწერილია ორი ტიპის კორტიკოსტეროიდული რეცეპტორი, თუმცა “სტრეს-ჰორმონის” სპეციფიური რეცეპტორები ნანახია ასევე სხვა უჯრედებსა და ქსოვილებშიც.

თავის ტვინის ორი ტიპის კორტიკოსტეროიდულ რეცეპტორებს (I და II) შორის განსხვავება სუსტრატების მიმართ (გლუკოკორტიკოიდები, მინერალოკორტიკოიდები) თვისობაზეა დამყარებული. ამასთან, პირველი ტიპის რეცეპტორი მეტ აფინურობას ავლენს ჰორმონის მიმართ და წარმოდგენილია ჰიპოკამპის ყველა უბანში, ძირითადად CA1, CA2 და CA3-ში [56], თუმცა ამ უკანასკნელში, სხვა ჰიპოკამპურ რეგიონებთან შედარებით, გლუკოკორტიკოიდების რაოდენობა საკმაოდ მცირეა [56].

ორივე ტიპის კორტიკოსტეროიდული რეცეპტორი ლიგანდ-აქტივირებადი ტრანსკრიპციული ფაქტორების სუპერ ოჯახის წარმომადგენელია და ციტოპლაზმაში ასოცირებულია სითბური შოკის ცილების (HSP70 და HSP90) შემცველ მულტიცილოვან კომპლექსთან. ისინი მონაწილეობას იღებს ტრანსკრიპციული პროცესების რეგულაციაში [57].

კორტიკოსტერონის ზემოქმედების ინჰიბირება წარმოებს ძირითადად ორი გზით: ერთი, როდესაც სხვა სტეროიდული ჰორმონი ახდენს სპეციფიკური რეცეპტორების ბლოკირებას, ხოლო


მეორე მექანიზმის საშუალებით ხდება მისი ფერმენტული გარდაქმნა ალდოსტერონად. კორტიკოსტერონის რაოდენობრივი ცვლილებების ზუსტი მექანიზმი სტრესის პირობებში არაერთგვაროვან ხასიათს ატარებს და ბოლომდე არ არის შესწავლილი [58].

I.4 კრეატინკინაზა

მაღალი მეტაბოლური აქტივობისა და ცვლადი ენერგეტიკული მოთხოვნილების მქონე უჯრედებში ატფ-ს ჰომეოსტასის შენარჩუნებაში მთავარი როლი კრეატინ-კრეატინკინაზა-ფოსფოკრეატინულ (Cr/CK/PCr) ციკლი წარმოადგენს. აღნიშნული სისტემა სწრაფად და დინამიურად აღადგენს დახარჯული ატფ-ს დონეს Cr-ისა და PCr-ის შექცავადი ტრანსფორმირების რეაქციის საშუალებით [34], რის კატალიზატორადაც სწორედ ფერმენტი კრეატინკინაზა (CK) გვევლინება (სურ.1).

რეაქციაში დახარჯული ატფ-ს ერთი მოლეკულა აღადგენს ერთ მოლეკულა PCr-ს სინთეზს ხმარდება. ეს უკანასკნელი კი ციტოზოლში გადმოსვლის შემდეგ მაღალენერგეტიკული ფოსფორის რეზერვუარს წარმოადგენს და ენერგიეს გაძლიერებული ხარჯვის დროს ადფ-დან ატფ-ის რესინთეზში მონაწილეობს.


ფოსფოკრეატინი არამარტო ატფ-ს აღდგენაში მონაწილეობს, არამედ უჯრედშიდა ადფ-ის მუდმივი დონის შენარჩუნებაში და რადგან მას ადვილად შეძლია ციტოზოლში გადაადგილება ენერგიის მატრანსპორტირებელ ნაერთსაც წარმოადგენს. [34; 64]



სურ.1 კრეატინ-კრეატინკინაზა-ფოსფოკრეატინული ციკლი

აღნიშნული მოდელი კრეატინკინაზას ციტოზოლური და მიტოქონდრიული იზოფორმების არსებობას ეფუძნება და უჯრედული ენერგიის შენახვა-გადატანას შემდეგნაირად ხსნის: მიტოქონდრიული კრეატინკინაზა მიტოქონდრიის მემბრანათაშორის სივრცეშია ხსნად მდგომარეობაში მოთავსებული და ფუნქციურად უანგვით ფოსფორილებასთან არის დაკავშირებული. ამ უკანასკნელის შედეგად სინთეზირებული ატფ კრეატინკინაზას მიერ კრეატინის ფოსფორილებისათვის გამოიყენება, რის შედეგადაც წარმოქმნილი ფოსფოკრეატინი მიტოქონდრიული

გარე მემბრანის გავლით ციტოზოლში გადადის, სადაც, როგორც უკვე აღინიშნა ციტოზოლური კრეატინკინაზა ახდენს მის დეფოსფორილირებას უბნებში, რომლებშიც იმ მომენტისათვის არის ატფ-ს მოთხოვნილება. ერთ-ერთ ასეთ საიტს წარმოადგენს მემბრანული ატფ-აზები, რომლებიც გამუდმებით მოიხმარენ ატფ-ს. ამ პროცესში გამონთავისუფლებული კრეატინი კი კვლავ მიტოქონდრიაში ბრუნდება, სადაც კვლავ ერთვება განხილულ ციკლში.



სურ.2 ფერმუნტ კრეატინკინაზას მოქმედების მუქანიზმი

დღეისათვის კრეატინკინაზა ხუთი სხვადასხვა იზოფორმაა ცნობილი, რომელთაგან ორი მიტოქონდრიულია, ხოლო სამი ციტოზოლური [4; 66]. ეს უკანასკნელი იყოფიან თავის ტვინის, ჩონჩხის კუნთისა და გულის კუნთის სპეციფიურ ფორმებად. მიტოქონდრიული ფორმებიდან ერთ-ერთი, ეწ. უბიქუიტური, თითქმის ყველა ქსოვილშია წარმოდგენილი გარდა კუნთოვანი ქსოვილისა, ხოლო მეორე იზოფორმა კი ჩონჩხისა და გულის კუნთებში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მიტოქონდრიული კრეატინკინაზა ახორციელებს კრეატინის ფოსფოკრეატინად გარდაქმნას ატფ-ს ენერგიის ხარჯზე. სხვადასხვა ნეიროდეგნარაციული პათოლოგიების დროს თავის ტვინის დაზიანებულ რეგიონებში აღინიშნება ციტოზოლური

კრეატინკინაზას როგორც რაოდენობრივი ისე ფერმენტული აქტივობის შემცირება, რაც სავარაუდოა, რომ გამოწვეული იყოს მისი პოსტ-ტრანსლაციური მოდიფიკაციით [2; 6; 7; 42]. კერძოდ, ფერმენტის მოლეკულაში კარბონილის ჯგუფის მატება მოწმობს, რომ ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ აღნიშნულ ცვლილებას გააჩნია, რაც თავის მხრივ ფერმენტის აქტივობის ცვლილებაზე ახდენს გავლენას.

ნაჩვენებია, რომ კრეატინკინაზას მიტოქონდრიული იზოფორმა ახდენს უანგბადი აქტიური რადიკალების გენერაციის ინპიბირებას, რასაც შეუძლია ისეთი პროცესების ინდუცირება, როგორებიცაა იშემიური და ნეიროდეგნარაციული დაავადებები, აპოპტოზი და სხვა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თავის ტვინი გამოირჩევა კრეატინკინაზას მიტოქონდრიული იზოფორმის მაღალი შემცველობით [8].


I.5 კრეატინი

კრეატინი წარმოადგენს ნიტროგენულ ორგანულ მჟავას, რომელიც ძირითადად ღვიძლში, პანკრეასსა და თირკმელში სინთეზირდება და შემდეგ სისხლის მიმოქცევის სისტემის მეშვეობით თაბის ტვინსა, გულს, კუნთებსა და სხვა ქსოვილებს მიეწოდება.

კრეატინის დამატებითი წყაროა ხორცეული და თევზეული საკვები. ვინაიდან სისხლი კერატინს მიკრომოლალური რაოდენობით შეიცავს ($10-50 \text{ }\mu\text{M}$), ხოლო მისი შიდაუჯრედული კონცენტრაცია ათობით მილიმოლს აღწევს ($5-25 \text{ mM}$), ბუნებრივია კრეატინის უჯრედში შეღწევა მხოლოდ აქტიური სატრანსპორტო მექანიზმის საშუალებითაა შესაძლებელი. ამ პროცესს აწარმოებს სპეციალური სატრანსპორტო ცილა - კრეატინის ტრანსპორტერი (CrT). ამ ცილის მოქმედება ნატრიუმის და ქლორის იონურ ტუმბოსთანაა შეუდლებული. ტუმბოს მიერ უჯრედში გადატანილი ნატრიუმის ყოველ ორ იონზე კრეატინის თითო მოლეკულის თანატრანსპორტი ხდება. ამდენად CrT-ის ფუნქციაა სისხლიდან კრეატინის პლაზმური მებრანის მიღმა უჯრედში გადაქაჩა, რაც კონცენტრაციული გრადიენტის საწინააღმდეგოდ ხორციელდება. უჯრედში კი კრეატინი ფერმენტ კრეატინკინაზას სუბსტრატს წარმოადგენს და ფოსფორილირების შედეგად ფოსფოკრეატინად გარდაიქმნება.

უჯრედში კრეატინის ბიოსინთეზი ორსაფეხურიანი პროცესია. რეაქციის პირველ ეტაპზე არგინინიდან ფერმენტ L-არგინინ-გლიცინამიდინოტრანსფერაზას მიერ ამინომჟავა გლიცინის ამიდინირება ხდება. რეაქციის შედეგად L-ორნიტინი და გუანიდინოაცეტატი (GAA) მიიღება.

ბიოსინთეზის მეორე და საბოლოო საფეხურზე GAA-ის მეთილირებით ენზიმ -ადენოზილ--მეთიონინ-გუანიდინოცეტატ-მეთილტრანსფერაზას მიერ კრეატინი მიიღება (სურ.3)



სურათი 3. კრეატინის ბიოსინთეზი

კრეატინის ნორმალური მეტაბოლისმს კრიტიკული მნიშვნელობა გააჩნია თავის ტვინის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. Cr/CK/PCr სისტემისა და კრეატინის მეტაბოლიზმის დარღვევები აღინიშნება შემდეგი ტიპის დაავადებების დროს, როგორებიცაა: კუნთოვანი დისტროფია, ჰიპოქსიურ-იშემიური ენცეფალომიოპათია და სხვა [14; 66].

ზოგიერთ ამ დაავადებას კრეატინის ცხადად გამოხატული დამცველობითი-პროფილაქტიკური ეფექტი გააჩნია. ის წარმოადგენს მეტაბოლური სტრუქტურული განვითი დაზიანებით გამოწვეული უჯრედების კვდომის თავიდან აცილების საკმაოდ ეფექტურ საშუალებას. თუ რა გზით მიმდინარეობს ეს პროცესი დღემდე გაურკვეველია. ასევე მწირია მონაცემები იმის თაობაზე, თუ რა გავლენა აქვს კერატინს ნორმალურ და განვითარებად თავის ტენიზე.

I.6.3. ალდოლაზა

ალდოლაზა არის ფერმენტი, რომელიც აკატალიზებს ალდოლურ რეაქციებს. მისი სუბსტრატია ფრუქტოზო-1,6-დიფოსფატი, რომელსაც ხლეჩს გლიცერალდეჰიდ-3-ფოსფატად და დიჰიდროაცეტონ ფოსფატად. რეაქცია გლიკოლიზის ნაწილია.

3 ალდოლაზური იზოენზიმი (A,B,C) კოდირებულია 3 სხვადასხვა გენით. სხვადასხვანაირად მჟღავნდება განვითარების დროს. ალდოლაზა A აღმოჩენილია ემბრიონის განვითარების დროს და პროდუცირდება დიდი რაოდენობით მოზრდილი ადამიანის კუნთებში.

ალდოლაზა C აღმოჩენილია თავის ტვინში და ნერვულ ქსოვილში.

ალდოლაზა A ნაკლებობამ შესაძლებელია გამოიწვიოს მიოპათია და ჰემოლიტიკური ანემია.

ალდოლაზა B - აგრეთვე ცნობილია როგორც ALDOB.

ალდოლაზა B - არის იზოფერმენტი ფრუქტოზო-1,6-დიფოსფატისა, რომელიც ხლეჩს ამ უკანასკნელს გლიცერილალდეპიდ და დიპიდროაცეტონფოსფატად. რეაქცია შებრუნებულია[78,79].

ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენი კვლევის მიზანია თეთრი ვირთაგვას სისხლსა და კარდიომიოციტებში მიმდინარე ენერგეტიკული მეტაბოლიზმისა და ანტიოქსიდანტური სისტემის ფუნქციონირების დადგენა ფსიქო-ემოციური სტრესის მიმდინარეობისას.

I.6.4. სუქცინატდეპიდროგენაზა, აკონიტაზა , ფუმარაზა

სუქცინატდეპიდროგენაზა, აკონიტაზა და ფუმარაზა წარმოადგენენ კრებსის ციკლის ფერმენტებს. კრებსის ციკლის რეაქციები მიტოქონდრიების გარეთა მემბრანაზე მიმდინარეობს 8 სტადიად.

იზომერიზაციის რეაქციას წარმართავს ფერმეტი აკონიტაზა, რომლის დროსაც ლიმონის მჟავა (ციტრატი) გარდაიქმნება იზოლიმონის მჟავად (იზოციტრატად). აკონიტაზა შეიცავს რკინა სულფიდურ კლასტერს, მისი ციტოპლაზმური იზოენზიმი ცნობილია, როგორც iron responsive protein და მონაწილეობს რკინის ჰომეოსტაზში.

სუქცინატდეპიდროგენაზა წარმოადგენს ფერმენტულ კომპლექსს, რომელიც მიტოქონდრიის შიდა მემბრანასთანაა ასოცირებული. იგი ლიმონმჟავას ციკლის ფერმენტია, კერძოდ მისი მეშვეობით ხორციელდება სუქცინატის დეპიდრირება, რის შედეგადაც წარმოიქმნება ფუმარატი (ფუმარის მჟავა). ფერმენტის პროსთეტულ ჯგუფს წარმოადგენს დაჟანგული FAD⁺, რომელიც რეაქციის მსვლელობისას წყალბადის ორ ატომს იკავშირებს და აღდგება FADH₂ –მდე. ფერმენტი აღმოჩენილია ბევრ აერობულ და ანაერობულ ორგანიზმში (მაგ: E.coli). ფერმენტული კომპლექსი ჰეტეროტეტრამერულია, და 3 ძირითადი ნაწილითაა წარმოდგენილი, კერძოდ კატალიზური, ელექტრონების გადამტანი და β ტიპის ჰემის შემცველი დომენებით [78,79].

სუქცინატდეპიდროგენაზა აქტიურადაა ჩართული მთელი რიგი პათოლოგიის ჩამოყალიბებაში. მაგალითად ფერმენტის ზოგიერთი მუტაცია ენცეფალომიოპათიისა და პარაგანგლიომას მიზეზია .

სუქცინატის დეპიდრირებით მიღებულ ფუმარატს ფერმენტი ფუმარაზა ჰიდრატირების გზით გადრაქმნის მაღატად. არსებობს ფერმენტის ორი ფორმა: ციტოზოლური და მიტოქონდრიული . მიტოქონდრიული იზოფორმა მონაწილეობს კრებსის ციკლში, ხოლო ციტოზოლური იზოფორმა კი ამინომჟავებისა და ფუმარატის მეტაბოლიზმში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენი კვლევის მიზანია თეთრი ვირთაგვას სისხლსა და კარდიომიოციტებში ანტიოქსიდანტური სისტემის აქტივობის დადგენა ცხოველების იზოლირებისა და დღე-ღამური რითმის დარღვევის პირობებში.

II. კვლევის ობიექტები და მეთოდები

II.1. კვლევის ობიექტი

ცდები ჩატარებულია მამრობითი სქესის თეთრ, ლაბორატორიულ ვირთაგვებზე. იზოლაციის მიზნით ვირთაგვებს ვათავსებდით ინდივიდუალურ გალიებში, სიბნელის პირობებში (თანაფარდობა სიბნელესა და სინათლეს შორის შეადგენდა $23.5\text{სთ}/0.5\text{სთ}$). ისინი იმყოფებოდნენ სრულ მხედველობით იზოლაციაში. ყნოსვა და სმენა შეზღუდული არ იყო. ცხოველებს საკვები და წყალი ეძლეოდათ შეუზღუდავად. ასეთ პირობებში ვირთაგვები იმყოფებოდნენ 30 დღის განმავლობაში. კონტროლად ვიყენებდით ვირთაგვებს, რომლებიც მოთავსებულნი იყვნენ ერთად, საერთო გალიაში, ჩვეულებრივ პირობებში (თანაფარდობა სიბნელესა და სინათლეს შორის შეადგენდა $10.00/14.00\text{სთ}$). 30-დღიანი პერიოდის შემდეგ ვირთაგვებს ვაძინებდით და ვაზდენდით მათ დეკაპიტაციას.


II.2. სუბუჯრედული ფრაქციების მიღება დე-რობერტისის მიხედვით

თავის ტვინის მიტოქონდრიულ ფრაქციას ვიღებდით დიფერენციალური ცენტრიფუგირებით საქართვას გრადიენტში [159]:

1. ვიღებდით ლაბორატორიული ვირთაგვების თავის ტვინის სუმარულ მასალას ჯგუფების მიხედვით: საკონტროლო და საცდელი (სტრესირებული).

2. ვახდენდით მათ ჰომოგენიზაციას საქართვას გრადიენტში ($0.32M$).

3. ვიღებდით სუფთა მიტოქონდრიულ ფრაქციებს დიფერენციალური ცენტრიფუგირებით საქართვას გრადიენტში:



(მიტოქონდრიული ფრაქცია)

II.3. სეროტონინისა და კორტიკოსტერონის რაოდენობრივი განსაზღვრა

სეროტონინისა და კორტიკოსტერონის რაოდენობას ვსაზღვრავდით ELISA ტესტ-სისტემების საშუალებით, იმუნოფერმენტული მეთოდით (Serotonin ELISA kit; Corticosterone ELISA kit, IBL International).

II.4. ფერმენტული აკონიტაზასა აქტივობის განსაზღვრა

ფერმენტული აკონიტაზას აქტივობის დასადგენად ნატიურ მიტოქონდრიებს ვამუშავებდით ბუფერით, რომელიც შეიცავდა 100 mM ტრის-HCl-ის ბუფერზე ($pH=7.4$) დამზადებულ 0.1%-იან ტრიტონ X-100-ს და ნატრიუმის ციტრატს. მიღებულ ნალექს ვუმატებდით საინკუბაციო არეს (150 mM ტრის-HCl-ის ბუფერზე დამზადებული: 8.6 mM ცის-აკონიტატი, 60 mM $MgCl_2$, 0.04 U იზოციტრატ დეპიდროგენაზა, 125 mM ნადP, 240 mM MTT და 80 mM ფენაზილ მეტოსულფატი (PMS); $pH=8.6$), ვაყოვნებდით 15 წთ. ოთახის ტემპერატურაზე და ვაცენტრიფურირებდით ($3000 g \times 10'$).

სუპერნატანტში ცის აკონიტის მჟავას გარდაქმნის პროდუქტს ვსაზღვრავდით სექტროფოტომეტრულად ($\lambda=240$ ნმ) [165].

ფერმენტული კატალაზას აქტივობას ვითვლიდით 1 მგ ცილაზე გადაანგარიშებით ($U/\text{მგ ცილა}$).

II.5. ფერმენტული ფუმარაზას აქტივობის განსაზღვრა

ფერმენტული ფუმარაზას აქტივობას ვსაზღვრავდით ფერმენტის იმ რაოდენობის მიხედვით, რომელიც საჭიროა 1 წუთში 1 M ფუმარის მჟავას (ფუმარატი) დასასინთეზირებლად.

მიტოქონდრიულ სუსპენზიას ვამუშავებდით ტრის-HCl-ის ბუფერით ($pH=8.6$), რომელიც შეიცავდა 30 mM კალიუმის ფოსფატს და 0.1 mM L-მალატს.

ნარევს ვაყოვნებდით 15 წუთი ოთახის ტემპერატურაზე და ვაცენტრიფულებდით ($3000 g \times 10'$).

სუპერნატანტში ფუმარატის რაოდენობას ვსაზღვრავდით სპექტროფოტომეტრულად ($\lambda=240$ ნმ) [166].

II.6. ფერმენტ სუქცინატდეპიდროგენაზას აქტივობის განსაზღვრა

ფერმენტ სუქცინატდეპიდროგენაზას აქტივობის განსასაზღვრავად ვიყენებდით აბესა და მატსუკის მოდიფიცირებულ მეთოდს [167].

ექსპერიმენტის საწყის ეტაპზე 500 მლ მიტოქონდრიულ ფრაქციას ვუმატებდით 1 მლ HBM ბუფერს (140 mM NaCl, 5 mM KCl, 5 mM NaHCO₃, 1.1 mM MgCl₂ x 6H₂O, 1.2 mM Na₂HPO₄, 1.2 mM CaCl₂, 5.5 mM C₆H₁₂O₆ და 20 mM HEPES; pH=7.4) და ვაცენტრიფუგირებდით (16,000 rpm x 10').

შემდეგ ეტაპზე მიღებულ ნალექს ვასუსპენზირებდით 500 მლ 3-(4,5-დიმეთილტეტრაზოლ-2)-2,5-დიფენილტეტრაზოლინის ბრომიდი (MTT) (0.5 მგ/მლ) დამზადებული HBM ბუფერში. მიღებულ სუსპენზიას ვაინკუბირებდით 45 წუთის განმავლობაში 37°C-ზე და ვაცენტრიფუგებდით (16,000 rpm x 10'). მიღებულ ნალექს ვხსნიდით 800 მლ დიმეთილსულფონქსიდში, ვანჯლრევდით საღებავის გადმოსვლამდე და კვლავ ვაცენტრიფუგირებდით (16,000 rpm x 5').

შემდგომ ეტაპზე ვსაზღვრავდით მიღებული სუპერნატანტის შუქმანთქმის სიდიდეს საექტროფოტომეტრულად ($\lambda=540$ ნმ).

ფერმენტ სუქცინატდეპიდროგენაზას აქტივობას ვითვლიდით 1 მგ ცილაზე (U/მგ ცილა) გადაანგარიშებით.

II.7. ფერმენტ კრეატინკინაზას აქტივობის განსაზღვრა

კრეატინკინაზულ აქტივობას ვსაზღვრავდით შუმანისა და სხვათა მოდიფიცირებული მეთოდით [170-172].

ექსპერიმენტის საწყის ეტაპზე ვამზადებდით სამუშაო რეაგენტს, რომელიც შეიცავდა იმიდაზოლის ბუფერზე დამზადებულ პირველ რეაქტივს (20 mM გლუკოზა, 10 mM მაგნიუმის აცეტატი, 2 mM EDTA, 5 mM ამფ, 0.2 mM N-აცეტილცისტეინი, 10 μM დიადენოზინ ჰენტაფონსფატი, 2 mM ნადფ, >4 U ჰექსოკინაზა, 25 mM SH-სტაბილიზატორი; pH=6.5) და მეორე რეაქტივს (2 mM ადფ, >2.8 U G6P-DH, 30 mM კრეატინფონსფატი), შეფარდებით 4:1.

შემდგომ ეტაპზე 50 მლ მიტოქონდრიულ სუსპენზიას ვუმატებდით 1 მლ სამუშაო რეაგენტს, ვურევდით და ვახდენდით მის ინკუბაციას 5 წუთის განმავლობაში 37°C-ზე, რის შემდეგაც ვზომავდით ხსნარის შუქმანთქმის სიდიდეს საექტროფოტომეტრულად ($\lambda=340$ ნმ) 1, 2, 3 წუთის შემდეგ (A₁, A₂, A₃).

ფერმენტის აქტივობას ვითვლიდით შემდეგი ფორმულით:

$$E = \Delta A \times 6508 \text{ } \mu\text{A}/\text{л}$$

სადაც:

E - ფერმენტის აქტივობაა,

$$\Delta A = \frac{(A_1 + A_2 + A_3)}{3} - \text{მიღებული შუქმთანთქმის სიდიდეთა საშუალო}$$

ფერმენტ კრეატინკინაზას აქტივობას ვითვლიდით 1 მგ ცილაზე გადაანგარიშებით (U/მგ ცილა).

II.8. კრეატინის რაოდენობრივი განსაზღვრა

კრეატინის რაოდენობას ვსაზღვრავდით ბარტელის და პოპერის მოდიფიცირებული მეთოდების მიხედვით [168; 169].

სამუშაო ხსნარი შეიცავდა ნატრიუმის ჰიდროქსიდისა (0.4 M) და პიკრინის მჟავის (26 mM) ნარევს შეფარდებით 1:1.

სტანდარტული ხსნარი შეიცავდა კრეატინს (176.8 μM)

100 μL ნიმუშს/სტანდარტს ვუმატებდით 1000 μL სამუშაო ხსნარს, ვურევდით და ვაყოვნებდით ოთახის ტემპერატურაზე 30 წუთი განმავლობაში, რის შემდეგაც წარმოქმნილ ნარინჯისფერ შეფერილობას ვზომავდით სპექტროფოტომეტრულად, $\lambda=492$ ნმ პარის საწინააღმდეგოდ და ვაფიქსირებდით მიღებულ სიდიდეს (A_1), ნარევს კვლავ ვზომავდით 2 წთ-ის შემდეგ და ვაფიქსირებდით მიღებულ შუქმთანთქმას (A_2).

მიღებული მონაცემებს ვსვამდით ფორმულაში, რის საშუალებითაც ვაღვენდით კრეატინის რაოდენობას (μM):

$$C = 176.8 \times \frac{\Delta A}{\Delta A_{st}} \text{ } \mu\text{M}$$

სადაც,

$$\Delta A = A_2 - A_1$$

$$\Delta A_{st} = A_{2st} - A_{1st}$$

კრეატინის რაოდენობას ვითვლიდით 1 მგ ცილაზე გადაანგარიშებით (M/მგ ცილა).

II.4. ცილის კონცენტრაციის განსაზღვრა ლოურის მეთოდით

ფოლინ-ჩოკალტეუს ფენოლურ რეაქტივთან ცილის მოლეკულის შემადგენლობაში არსებული ამინომჟავები (ცისტეინი, თიროზინი) წარმოქმნიან ლურჯი შეფერილობის კომპლექსს. ეს უკანასკნელი ფოლინის აღდგენის შედეგად წარმოიქმნება [174].

ექსპერიმენტის პირველ ეტაპზე 0.4 მლ მიტოქონდრიულ სუსპენზიას ვუმატებდით 2 მლ C რეაქტივს, რომელიც თავის მხრივ მზადდება A (Na_2CO_3 -ის (უწყლო) 2%-იანი ხსნარი დამზადებული 1 N NaOH -ზე) და B (0.5%-იანი $\text{CuSO}_4 \times 5\text{H}_2\text{O}$ დამზადებული 1 %-იან ნატრიუმის ციტრატზე) რეაქტივების ურთიერთშერევით (50:1), ვურევდით და გაყოვნებდით 10 წუთის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე.

შემდგომ ეტაპზე ნარევს ვუმატებდით 200 მლ ფოლინის რეაქტივს, ვურევდით და გაყოვნებდით 30 წუთის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე.

მიღებულ შეფერილობას ვზომავდით სპექტროფოტომეტრულად ($\lambda=750$ ნმ) და ვითვლიდით ცილის კონცენტრაციას შემდეგი ფორმულით:

$$\mathbf{C} = \mathbf{K} \times \mathbf{E}_{\text{საშ}} \quad \text{მგ/მლ}$$

სადაც:

C - ცილის კონცენტრაციაა

E_{საშ} - მიღებული შუქმანთქმის საშუალო სიდიდეა

K - მუდმივაა (0.3171)

III. მიღებული შედეგები და მათი ანალიზი

გარემოში მიმდინარე ცვლილებები გარკვეულ ასახვას ჰქონიაზე და რა თქმა უნდა, ეს ყველაზე უკეთ უჯრედულ დონეზე აღიქმება. საწყის ეტაპზე ცოცხალი სისტემა ცდილობს შეძლებისდაგვარად შეეწინააღმდეგოს ამა თუ იმ გარეგანი ფაქტორის გავლენას სხვადასხვა კომპენსატორული მექანიზმების გაძლიერებით, რათა შეინარჩუნოს პომეოსტაზური მდგომარეობა.

აღნიშნული პროცესი შესაძლოა ორი, რაღიკალურად განსხვავებული გზით წარიმართოს, ანუ მოხდეს შეგუება ახალ პირობებთან - ადაპტაცია, ან პირიქით - დეგრადაცია, რაც ადაპტაციის მსგავსად საფეხურეობრივი პროცესია, მაგრამ მისგან განსხვავებით, მას სისტემის დაღუპვა მოსდევს.


სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია ხანგრძლივი ფსიქომოციური სტრესის უარყოფითი გავლენის შესახებ ორგანიზმის ბუნებრივ ცხოველქმედებაზე, რაც მრავალი პათოლოგიური პროცესის მაპროვოცირებელი შეიძლება გახდეს და ლეთალური შედეგითაც კი დამთავრდეს. ამ კუთხით მრავალი კვლევაა ჩატარებული, რომლებიც აღნიშნულ პირობებში უჯრედული მეტაბოლიზმის მიმდინარეობის სხვადასხვა თავისებურებას აჩვენებენ.

ჩვენთვის საინტერესო იყო შეგვესწავლა ვირთაგვას თავის ტვინში იზოლაციითა და დღე-დამური რიტმის დარღვევით გამოწვეული ფსიქომოციური სტრესის პირობებში მიტოქონდრიაში მიმდინარე მეტაბოლური და სტრუქტურული ცვლილებები.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ბუნებრივი გარემო პირობების ცვლილების გავლენა მიტოქონდრიაში ჟანგვითი სტრესი მიმდინარეობაზე, ანტიოქსიდანტური და ენერგეტიკული სისტემების ფუნქციონირებასა და მიტოქონდრიული გარდამავალი განვლადობის ფორის (MPTP) ფუნქციურ მდგომარეობაზე.

ცდების საწყის ეტაპზე შესწავლილი იყო საკვლევი ინდივიდების პორმონალური სტატუსი, რათა უკეთ წარმოგვეჩინა ხანგრძლივი ფსიქომოციური სტრესის უარყოფითი გავლენა, რის მარკერადაც სწორედ აღნიშნული მაჩვენებელია აღიარებული. მიღებული მონაცემები წარმოადგენილია სურათზე 1.

როგორც სურათიდან ჩანს, ცხოველების იზოლირება და დღე-დამური რიტმის დარღვევა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ორგანიზმის პორმონალურ სტატუსზე, კერძოდ, პორმონები: სეროტონინი და კორტიკოსტერონი საკმაოდ არაერთგვაროვნად იცვლებიან.



სურათი 1. სეროტონინისა (A) და კორტიკოსტერონის (B) რაოდენობრივი ცვლილებები 30 დღიანი იზოლაციისა და დღე-დამური რიტმის დარღვევის პირობებში აბსცისათა ღერძე - პორმონების კონცენტრაცია გამოსახული ($\mu\text{M}/\text{მგ ცილა}$) ორდინატა ღერძე - საცდელი (წითელი ფერის სვეტი) და საკონტროლო (მწვანე ფერის სვეტი) ჯგუფები

აღნიშნული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები მიჩნეულია, როგორც სტრესული და აგრესიული მდგომარეობების პირდაპირი ბიოქიმიური მარკერები და ცნობილია, რომ მათი რაოდენობა ამა თუ იმ პირობებში ანტაგონისტურად იცვლება, თუმცა ჯერ-ჯერობით ზუსტად დადგენილი არ არის მათი რაოდენობრივი ურთიერთდამოკიდებულების სპეციფიკა, რადგან არსებობს მონაცემები სტრესულ მდგომარეობებში, როგორც ერთი, ისე მეორე პორმონის სიჭარბის შესახებ [21; 34].


როგორც სურათიდან ჩანს ზანგრძლივი ფსიქოემოციური სტრესის შედეგად სეროტონინის (კონცენტრაცია ~42%-ით იზრდება სურ. 1A), ხოლო პარალელურად კორტიკოსტერონი ~71.4%-ით მცირდება (სურ. 1B).

მიღებული მონაცემები მანიშნებელია შესწავლილ პირობებში განვითარებული მძიმე სტრესული ფონისა, რაც საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ზანგრძლივი იზოლაცია და დღე-დამური რიტმის დარღვევა სტრესული მდგომარეობის რეალური ინიციატორია, თუმცა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ რა მექანიზმით ხდება შესწავლილ პირობებში აღნიშნული პორმონების რაოდენობრივი ცლილება, რაც გამოწვეული შეიძლება იყოს სტრესული ფაქტორების როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მოქმედებითაც.

შემდგომ ეტაპზე საინტერესო იყო დაგვეღინა, თუ რომელი უარყოფითი პროცესების გააქტივება ხდება ფსიქოემოციური სტრესის დროს. კერძოდ, თუ როგორ მოქმედებს აღნიშნული პირობები უჯრედულ მეტაბოლიზმზე, რასაც პირველ რიგში სასიგნალო სისტემებზე ექნება ასახვა.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია Ca^{2+} -ის იონის, როგორც მნიშვნელოვანი მესენჯერის როლი სხვადასხვა მეტაბოლურ პროცესებსა და ნეიროგადაცემაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საინტერესო იყო განვესაზღვრა Ca^{2+} -ის იონის რაოდენობა თავის ტვინის მიტოქონდრიებში ხანგრძლივი ფსიქოემოციური სტრესის პირობებში, ამასთან ყურადსალებია ის ფაქტიც, რომ Ca^{2+} -ის იონი გვევლინება, როგორც სხვადასხვა მეტაბოლური პროცესების ინიციატორი, მათ შორის აზოტის ოქსიდის პათოლოგიური სინთეზისა და მიტოქონდრიის გარდამავალი განვლადობის ფორის - MPTP-ის გამააქტივებელი, რაც მრავალი დაავადების გამომწვევ მიზეზად გვევლინება.



სურათი 3. კალციუმის იონის (Ca^{2+}) რაოდენობა საკონტროლო და საცდელი ცხოველების თავის ტვინის მიტოქონდრიულ ფრაქციაში
აბსცისათვის ღერძე - Ca^{2+} -ის იონის კონცენტრაცია ($M/\text{ლ}$)
ორდინატა ღერძე - საცდელი (წითელი ფერის სკეტი) და საკონტროლო (მწვანე ფერის სკეტი)
ჯგუფები

როგორც სურათიდან 3 ჩანს, Ca^{2+} -ის იონის კონცენტრაცია საცდელი ცხოველების მიტოქონდრიულ ფრაქციაში, საკონტროლოსთან შედარებით მკვეთრად იზრდება (~100%).

მიღებული მონაცემებიდან სავარაუდოა, რომ ხანგრძლივი ფსიქოემოციური სტრესი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სასიგნალო მოლეკულებზე, კერძოდ პირველად და მეორეულ

მესენჯერებზე, რაც თავის მხრივ, სხვადასხვა პათოლოგიური უჯრედშიდა პროცესების ინიცირებას უნდა იწვევდეს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ კალციუმის იონი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სეროტონინისა და კორტიკოსტერონის სინთეზის პროცესშიც. კერძოდ, მისი სიჭარბე გვევლინება, როგორც სეროტონინერგული სისტემის აქტივატორი და შესამჩნევად ბლოკავს კორტიკოსტერონის სინთეზს [175]. აღნიშნულით შეიძლება აიხსნას 30-დღიანი ფსიქოემოციური სტრესის პირობებში სისხლში სეროტონინისა და კორტიკოსტერონის რაოდენობრივი ცვლილებების სპეციფიკა (სურ.1).


სავარაუდოა, რომ მიტოქონდრიებში კალციუმის რაოდენობის ზრდა შედეგია უჯრედგარე მატრიქსში ამ იონის რაოდენობის ზრდის, რაც სავარაუდოდ, თავის ეფექტებს ორი მიმართულებით ახორციელებს, კერძოდ, იწვევს სეროტონინის სეკრეციის ზრდას და კორტიკოსტერონის – შემცირებას [175]. ამავე დროს, უჯრედგარე არეში იონის რაოდენობის მატება შესაბამისად იწვევს უჯრედის შიგნით მისი რაოდენობის ზრდასაც. უჯრედშიდა არეში მომატებული კალციუმის ეფექტი შესაძლებელია ორი მიმარტულებით წარიმარტოს. კერძოდ - Ca^{2+} -ინდუცირებადი არხების გახსნა არხის შემაღებელის ცილების ფოსფორილირებისა და გააქტივების ხარჯზე და უჯრედში დამატებითი იონის შემოსვლა, რაც თავის მხრივ მიტოქონდრიელი $\text{Ca}-\text{ატფ-აზას}$ გამააქტივებელია და ხელს უწყობს მის შედინებას მიტოქონდრიებში და რაოდენობრივ მატებას, ხოლო მეორეს მხრივ $\text{NO}-\text{სინთაზას}$ გააქტივებას.

გამოთქმული მოსაზრების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შესწავლილი პირობები პირველ რიგში ახდენენ გავლენას ეგზოგენური Ca^{2+} -ის რაოდენობაზე, რომელსაც თავის მხრივ აღწერილი მექანიზმების აქტივაცია შეუძლია.

